ანგარიში მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და ქვეპროგრამების შესახებ

2024 წლის 1 კვარტალი

სსიპ- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური
30 05
(მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი)

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ხელმისაწვდომი, ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მომსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა - 30 05

პროგრამის განმახორციელებელი - სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური

ათას ლარებში

პროგრამის კოდი	დასახელება	წლიური დამტკიცებული მოცულობა	წლიური დაზუსტებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 05	შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემისა და საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა	4 600.0	5 320.0	1 867.7	35.1%	0.22

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაჭრილი ან/და დაზიანებული მოსამსახურეების მკურნალობა და მათი ჯანმრთელობის რეაბილიტაციისთვის საჭირო ღონისძიებები, აგრეთვე სამინისტროს

მოსამსახურეთა, თადარიგში დათხოვნილ პირთა, მათი ოჯახის წევრთა და სამინისტროს სასწავლო დაწესებულებების მსმენელთა სამედიცინო მომსახურება;

- ავადობისა და შრომისუუნარობის შემცირების მიზნით განხორციელდა ბენეფიციართა (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა) დისპანსერიზაცია, მედიკამენტებით და სამედიცინო სახარჯი მასალით უზრუნველყოფა, სტაციონარული მკურნალობა, ავადობის მიზეზების შესწავლა, დაჭრილთა სამედიცინო რეაბილიტაცია, პენსიონერთა და უნარშეზღუდულთა სამედიცინო შემოწმება, კერძოდ:
- ექიმ-სპეციალისტთან განხორციელდა 15 646 ვიზიტი;
- სტომატოლოგიური მომსახურება გაეწია - 694 პაციენტს;
- ჩატარდა 3 463 ულტრაბგერითი დიაგნოსტირება;
- ფუნქციონალური დიაგნოსტიკის კაბინეტში ჩატარდა 951 პროცედურა;
- ფიზიოთერაპიულ კაბინეტში განხორციელდა 4 663 პროცედურა;
- რენტგენოლოგიის კაბინეტში - 2 745 პროცედურა;
- ჩატარდა 20 222 სხვადასხვა ლაბორატორიული ანალიზი;
- საინიექციო კაბინეტში განხორციელდა 184 პროცედურა;
- მასაჟის კაბინეტში ჩატარებულ იქნა 600 სამკურნალო პროცედურა;
- ცენტრალური სამხედრო-საექიმო კომისია გაიარა ახლად მისაღებმა 1 239 პირმა, 95 წვევამდელმა და 59 სამოქალაქო პირმა.

საანგარიშო პერიოდში დაიწყო და მიმდინარეობდა თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N72-ში მდებარე სსიპ-საქართველოს შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ადმინისტრაციული შენობის კაპიტალური სარემონტო სამუშაოები.